## კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვის თაობაზე საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №2

თბილისი 15/11/2011

საპროექტო მომსახურების შესყიდვისთვის კონკურსის (საკონკურსო განცხადების №204) ჩატარების მიზნით შექმნილმა საკონკურსო კომისიამ იმსჯელა შემდეგ საკითხებზე:

- საკონკურსო წინადადებების მიღების ვადა დასრულდა 2011 წლის 14 ნოემბერს, 18:00 საათზე. საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ერთმა კონკურსანტმა, შპს "თ-არქიტექტმა".
- საკონკურსო კომისიამ იმსჯელა შპს "თ-არქიტექტის" საკონკურსო წინადადების შესაბამისობაზე შპს "საქაერონავიგაციის" საკონკურსო განცხადებასთან და კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

საკონკურსო კომისიამ დაადგინა:

- შპს "თ-არქიტექტის" საკონკურსო წინადადება შეიცავს საკონკურსო განცხადებით მოთხოვნილ დოკუმენტაციას და წარმოდგენილია საკონკურსო განცხადებით გათვალისწინებულ ვადაში.
- კონკურსანტის საკონკურსო წინადადების შეფასების შედეგების თანახმად, გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს "თ-არქიტექტი". საკონკურსო კომისიის წევრების მიერ მინიჭებული შეფასების ქულებია: დ. დიკგაუტი – 9,4; ე. კაკაბაძე – 9,7; ა. ფონხუა – 10 (იხ. დანართი – ინდივიდუალური შეფასების ცხრილები).
- დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს შპს "თ-არქიტექტის" სახელზე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად მოწვევის თაობაზე წერილის გაგზავნა.
- სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება გამარჯვებულ კონკურსანტთან გაფორმდეს არაუგვიანეს 2011 წლის 21 ნოემბრისა.
- დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს წინამდებარე ოქმის, ინდივიდუალური შეფასების ცხრილებისა და გამარჯვებული პრეტენდენტის სახელზე წერილის გადაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის, სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მიზნით.

დ. დიკგაუტი

ე. კაკაბაძე

ა. ფონხუა